ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

# რასიზმი და ქსენოფობია საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკა უცხოელების მიმართ

## კვარტალური ანგარიში

იანვარი-მარტი 2019

1. რასობრივი დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის შემთხვევები
2. რასობრივი ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების სტატისტიკა
3. პოლიტიკოსების ქსენოფობიური და პოპულისტური განცხადებები
4. სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის აკრძალვა უცხოელებისთვის
5. უცხოელების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის პრობლემა



TDI

## 1. რასობრივი დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის შემთხვევები

### ვიტალი საფარიოვის მკვლელობის საქმის გამოძიება

2018 წელს სავარაუდო რასობრივი/ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე პრობლემური იყო დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, მკვლელობის ჩადენაში იკვეთებოდა ორი პირის მონაწილეობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაკავებული ორი პირიდან ერთს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ხოლო მეორეს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო ჰქონდათ ბრალი წაყენებული. ამ ხნის განმავლობაში უფლებადამცველები ითხოვდნენ საქმის ჯგუფურ დანაშაულად დაკვალიფიცირებას. პროკურატურამ დანაშაული, როგორც ჯგუფურად ჩადენილი, მხოლოდ 2019 წლის აპრილში გადააკვალიფიცირა. მოცემულ ეტაპზე, აღნიშნული საქმეზე მიმდინარეობს სასამართლო განხილვები.

როგორც ცნობილია, 2018 წლის 30 სექტემბერს, საქართველოს მოქალაქე, 25 წლის ვიტალი საფაროვი მოკლეს. კონფლიქტი თბილისში, თავისუფლების მოედანზე მდებარე ერთ-ერთ ბარში დაიწყო. ვიტალი საფაროვი ცივი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა.

### სავარაუდო დისკრიმინაცია ეგვიპტის მოქალაქის მიმართ

2019 წლის თებერვალში, ეგვიპტის მოქალაქე თარჯიმნის მხრიდან დაექვემდებარა სავარაუდო დისკრიმინაციულ მოპყრობას. იგი მოწმის სახით გამოძახებული იყო თბილისში მდებარე ერთ-ერთ პოლიციის განყოფილებაში, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ჩვენების მისაცემად.

ჩვენების მიცემისას ეგვიპტის მოქალაქემ აღნიშნა, რომ ჰოსპიტალში მყოფ მის მეუღლეს ექიმები არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას, რაც, მისი აზრით, პაციენტის ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებით იყო განპირობებული. თარჯიმანმა კატეგორიული უარი განაცხადა აღნიშნული გარემოების გადათარგმნაზე, ვინაიდან, მისი აზრით, გამოსაკითხი პირი აღვივებდა შუღლს და ამბობდა სიცრუეს. თარჯიმანმა დატოვა პოლიციის განყოფილება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, თარჯიმანი ვალდებულია ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება. მას უფლება აქვს უარი თქვას თარგმნაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისთვის საჭირო ცოდნა არ გააჩნია. შესაბამისად, საკუთარი სუბიექტური დამოკიდებულების თუ შეხედულების გამო, თარჯიმანს არ ქონდა უფლება უარი ეთქვა თარგმნაზე. თარჯიმნის აღნიშნული ქმედება, ასევე, შეიცავდა შესაძლო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რაც გულისხმობს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას (სსკ-ის 142-ე მუხლი).

მომხდარ ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით TDI-მ მიმართა თბილისის პროკურატურას. [1]

### ძალადობა ნიგერიის მოქალაქის მიმართ

2019 წლის თებერვალში, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეს უცნობმა პირმა, სავარაუდო რასობრივი შეუწყნარებლობის ნიადაგზე, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ნიგერიის მოქალაქე თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე საკუთარი მოტოციკლით მოძრაობდა, რა დროსაც მას გვერდიდან შემთხვევით შეეჯახა უცნობი მამაკაცი. როდესაც მან მოიხსნა ჩაფხუტი და გადმოვიდა მოტოციკლიდან, რათა დარწმუნებულიყო, რომ ქვეითი არ იყო დაშავებული, უცნობმა მამაკაცმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სახის არეში დაარტყა მუშტი. გინების დროს აღნიშნული პირი მას „ზანგს“ უწოდებდა.

ნიგერიის მოქალაქემ მარჯანიშვილის მოედანზე იქვე მყოფ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მიმართა დახმარებისთვის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო (ძალადობა). ნიგერიის მოქალაქე იმავე საღამოს მოწმის სახით გამოიკითხა. მან ჩვენებაში დააფიქსირა სავარაუდო რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივი. ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სამედიცინო ექსპერტიზა. ამჟამად კვლავ მიმდინარეობს გამოძიება.[2]

### პერუს მოქალაქის მიმართ ძალადობა

2019 წლის იანვარში, საქართველოში მყოფ პერუელ ტურისტს, რომელიც თბილისში ერთ-ერთ საოჯახო ტიპის სასტუმროში დროებით ცხოვრობდა, მეზობელმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. კონფლიქტი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პერუს მოქალაქეს საკუთარი მოტოციკლი, რუსული სანომრე ნიშნებით, გაჩერებული ჰყავდა პარკირების ადგილას, საცხოვრებლის მახლობლად, რამაც მეზობლის გაღიზიანება გამოიწვია. მეზობელი მოითხოვდა მოტოციკლის გადაყენებას, თუმცა როდესაც ტურისტი მის გადასაყენებლად გავიდა, მას ის გადაყირავებული და დაზიანებული დახვდა. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მეზობელი კი იქვე იდგა, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მას რუსულ ენაზე და “რუს ღორს” უწოდებდა, უყვიროდა და მოუწოდებდა წასულიყო საქართველოდან. სავარაუდოდ, იმის გამო, რომ პერუს მოქალაქის მოტოციკლს რუსული სანომრე ნიშნები ჰქონდა, მეზობელმა ჩათვალა, რომ იგი რუსეთის მოქალაქე იყო.

---

[1] ეგვიპტის მოქალაქის ინტერესებს TDI იცავს

[2] ნიგერიის მოქალაქის ინტერესებს TDI იცავს

მეზობლის თავდასხმის შედეგად, პერუს მოქალაქემ ფიზიკური დაზიანებაც მიიღო. აღნიშნულის შესახებ იმავე დღეს შეტყობინება შევიდა პოლიციაში და დაიწყო გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქონების დაზიანება). ტურისტმა თავის ჩვენებაში დააფიქსირა სავარაუდო რასობრივი/ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივი. საქმეზე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, ექსპერტიზა და შემთხვევის ადგილის დათვალიერება. გამოძიებას მომხდარი ფაქტისთვის არ მიუნიჭებია ძალადობის კვალიფიკაცია და არც სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივი გამოუკვეთავს. ამ ეტაპზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.[3]

### ძალადობა ირანის მოქალაქის მიმართ

2019 წლის მარტში, ირანის მოქალაქეს, რომელიც დროებით საქართველოში ცხოვრობს, თბილისის ერთ-ერთი რესტორნის დაცვის თანამშრომლებმა, სავარაუდო რასობრივი შეუწყნარებლობის ნიადაგზე, ჯგუფურად მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

ირანის მოქალაქე კლუბ-რესტორანში კერძო წვეულებაზე იმყოფებოდა. მისი განმარტებით, მას სპეციალური სამაჯური ეკეთა, რაც მოწმობდა იმას, რომ წვეულების ბილეთი შეძენილი ჰქონდა. როდესაც კლუბიდან დროებით გამოსულმა შენობაში შებრუნება დააპირა, შესასვლელში მდგომმა დაცვის თანამშრომელმა მას დაჟინებით მოსთხოვა ბილეთის წარდგენა. დაცვის თანამშრომელთან მცირედი შელაპარაკების შემდგომ, იგი კვლავ შეუშვეს კლუბში. იგივე დაცვის თანამშრომელი მას შენობაში შეჰყვა, აკვირდებოდა და ცდილობდა არ მოშორებოდა. მოგვიანებით, დაცვის თანამშრომელი მიუახლოვდა ირანის მოქალაქეს და სახის არეში ძლიერად გაარტყა ხელი, რასაც კლუბში მყოფებს შორის არეულობა და ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა. კლუბის დაცვის სხვა თანამშრომლები გამოესარჩლნენ მათ კოლეგას და ჯგუფურად ფიზიკურად გაუსწორდნენ სტუმარს, რომელმაც, შედეგად, ფიზიკური დაზიანებები მიიღო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) დაიწყო. ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, სამედიცინო ექსპერტიზა, ირანის მოქალაქე და სხვა პირები მოწმის სტატუსით გამოიკითხნენ. მოგვიანებით, მან გამოძიებას დამატებით მიაწოდა ინფორმაცია დაცვის თანამშრომლის ვინაობის შესახებ და ასევე, ჩვენებაში მიუთითა დანაშაულის შესაძლო რასობრივი/ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივზე. საქმეზე გამოძიება გრძელდება.[4]

---

[3] პერუს მოქალაქის ინტერესებს TDI იცავს

[4] ირანის მოქალაქის ინტერესებს TDI იცავს

### მთაწმინდის პარკში მომხდარი ძალადობა ინდოეთის მოქალაქეებზე

2019 წლის 23 მარტს, თბილისის მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე, "ფერების ფესტივალის" მიმდინარეობისას, ქართველ და ინდოელ ახალგაზრდებს შორის მოხდა კონფლიქტი. დაპირისპირებისას ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას ინდოეთის მოქალაქეზე. აღნიშნულის ამსახველი ვიდეო კადრები სოციალურ ქსელში გავრცელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, მომხდართან დაკავშირებით 24 მარტს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა).

## 2. რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების სტატისტიკა: იანვარი-მარტი 2019

**საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით**, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 1-ლ აპრილამდე პერიოდში, რასობრივი დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **ერთი პირის მიმართ**, სისხლის სამართლის კოდექსის 238[1] მუხლის მე-2 ნაწილით (ცივი იარაღის ტარება განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ანდა ცივი იარაღის ტარებისათვის ნასამართლევი პირის მიერ) და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა).

**საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებულ ინფორმაციით**, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 1-ლ აპრილამდე პერიოდში:

- საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში რასობრივი/ ეთნიკური/ ეროვნული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების მიხედვით, არც ერთი საქმე არ შესულა
- საქართველოს სააპელაციო სასამართლოებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142[1] მუხლის (რასობრივი დისკრიმინაცია) საფუძველზე, შევიდა 1 სააპელაციო საჩივარი, რომელიც აღნიშნულ პერიოდში დასრულებული არ არის.
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში აღნიშნულ პერიოდში მითითებული დანაშაულების მიხედვით, არც ერთი საქმე არ შესულა.

## 3. პოლიტიკოსების ქსენოფობიური და პოპულისტური განცხადებები

### საქართველოს პარლამენტის წევრის, მარიამ ჯაშის, დისკრიმინაციული განცხადება

2018 წლის 26 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების მდგომარეობაზე საჯარო განცხადება გააკეთა და

მიუთითა, რომ „აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების უფლებები საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების უფლებებს უნდა გაუთანაბრდეს როგორც განათლების, ასევე სხვა სერვისებზე.“ დეპუტატის განცხადებით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან ორმხრივი მოლაპარაკებების და თანამშრომლობის საშუალებებს გამოიყენებს.

🔗 იხილეთ მარიამ ჯაშის განცხადების შეფასება.

### საქართველოს პარლამენტის წევრის ემზარ კვიციანის ქსენოფობიური განცხადება

2019 წლის 21 იანვარს, საქართველოს პარლამენტში გამართული სამუშაო ჯგუფის სხდომის მიმდინარეობისას, პარლამენტის წევრმა ემზარ კვიციანმა მიმართა სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს ხელმძღვანელს, მირტაგი ასადოვს და ჰკითხა, იყო თუ არა საქართველოს მოქალაქე. როდესაც კითხვაზე დადებითი პასუხი მიიღო, კვიციანმა მას უსაყვედურა, რატომ არ ლაპარაკობდა ქართულ ენაზე.

დეპუტატმა, მსგავსი განცხადებით, ენის არ ცოდნა გამოიყენა როგორც ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ოპონენტის მარგინალიზაციის საშუალება. საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის თანახმად, „პარლამენტის წევრი პატივისცემით ექცევა პარლამენტის სხვა წევრებს და მოქალაქეებს, არ იყენებს სიძულვილის ენას, რომელიც მიმართულია, რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის თუ სხვა ნიშნით განსაზღვრული უმცირესობებისკენ.“ ემზარ კვიციანმა, მოცემულ შემთხვევაში, ენობრივი და ეთნიკური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციული დამოკიდებულება გამოამჟღავნა საქართველოს მოქალაქის მიმართ, რაც პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსით წარმოადგენს სიძულვილის ენას.

ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, სოფიო კილაძემ, რომელიც აღნიშნულ სხდომას უძღვებოდა, არ აღკვეთა და არც გაემიჯნა მისი კოლეგის მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას.

🔗 იხილეთ “კოალიცია თანასწორობისთვის” შეფასება.

### მიხეილ სააკაშვილის პოპულისტური განცხადება

2019 წლის 27 თებერვალს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში, გადაცემაში „ნანუკას შოუ“, საქართველოს მე-3 პრეზიდენტმა, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა განმარტა მის მიერ გენეტიკური ტესტის ჩატარების მიზეზები.

*„როდესაც შენ წინააღმდეგ იყენებენ ბინძურ ტყუილს [...] და როდესაც ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ამ ტყუილებს არ ვპასუხობთ, ეს აღმოჩნდა რომ შეცდომა იყო, იმიტომ რომ*

*ხალხის ტვინში ჩანერგეს ეს ვირუსები [...]აღმოჩნდა, რომ ჩემი წინაპრები არავისთან არ აღრეულან ქართველების გარდა საუკუნეების განმავლობაში.“* - მიხეილ სააკაშვილმა იგულისხმა მისი მისამართით გავრცელებული განცხადებები, თითქოს ის ეთნიკურად არაქართველი იყო. სააკაშვილმა იგივე ტესტის გაკეთებისკენ თავის ოპონენტებსაც მოუწოდა, ვისაც მისი "ეთნიკური ქართველობა" აქამდე აეჭვებდა.

სააკაშვილმა გენეტიკური ტესტის ლეგიტიმურობის დასასაბუთებლად და დემოგრაფიული საფრთხის წარმოსაჩენად მეცნიერულად დაუსაბუთებელი, პოპულისტური და რასისტული არგუმენტები მოიშველია: *"როდესაც მე მეკითხებიან რატომ უყურებ გენეტიკას, მე ვამბობ, რომ საქართველო იცლება. როგორც ეხლა იცლება საქართველო, ისე მაშინაც არ დაცლილა, როდესაც ჩვენი ფეოდალები და მეფეები იტაცებდნენ და ყიდდნენ გოგო-ბიჭებს.[...] და ეს იმ პირობებში, როცა მარიხუანას ლეგალიზაცია მოხდა და ნარკოპლანტაციად აქცევენ საქართველოს. ეს ნიშნავს, რომ არამარტო იცვლება საქართველო, არამედ გენეტიკური კოდიც კი იცვლება."*

ტესტის შესახებ ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე, პირველად 17 თებერვალს გამოაქვეყნა: *"წვეთი სისხლი არაა ჩემში არაქართული"-ცნობისმოყვარეობამ მძლია და გავიარე ამერიკაში ძალიან პოპულარული გენეტიკური ტესტი. თითქმის 99%-ით ქართველი აღმოვჩნდი და 1%-ით ბერძენი. ეს ტესტი ზუსტად განსაზღვრავს შენი წინაპრების წარმომავლობას, მინიმუმ ბოლო ათასობით წლის განმავლობაში."*

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა რადიკალური, ფაშისტური და რასისტული ჯგუფის გამრავლებისა და არატოლერანტული განწყობების გაძლიერების ფონზე, პოლიტიკოსების მიერ კონკრეტული პოლიტიკური შედეგის მიღწევისთვის ეთნიკური სიწმინდის თეორიებით მანიპულირება განსაკუთრებით მიუღებელია.

## 4. სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის აკრძალვა უცხოელებისათვის

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების საკითხი კვლავ აქტუალურ თემად რჩება. 2018 წლის 16 დეკემბრიდან ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა „განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსად" გამოცხადდა. მასზე საკუთრების უფლება უცხო ქვეყნების მოქალაქეებისთვის შეიზღუდა.

2019 წლის 27 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა, "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის ინიცირება მოახდინა. კანონპროექტის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქის, ან იმ იურიდიული პირების საკუთრება, რომლის დომინანტი პარტნიორი (50 პროცენტზე მეტი წილის მფლობელი ან დამფუძნებელთა უმრავლესობა) საქართველოს მოქალაქეა. უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია გახდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრე მხოლოდ

მემკვიდრეობის შემთხვევაში. იურიდიული პირი კი, რომლის 50 პროცენტზე მეტი წილი უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ეკუთვნის ან დამფუძნებელთა უმრავლესობა უცხოელია, შესაძლოა გახდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრე მხოლოდ განსაზღვრული საინვესტიციო პირობებით, რომელთა შეუსრულებლობა გამოიწვევს მიწის გასხვისების ვალდებულებას.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობდა კანონპროექტის საკომიტეტო განხილვები.

## 5. უცხოელების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის პრობლემა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით:

- 2019 წლის იანვარში საქართველოში შემოსვლაზე ყველაზე მეტი უარი ეთქვათ ირანის (576) ინდოეთის (366) და აზერბაიჯანის (124) მოქალაქეებს;
- 2019 წლის თებერვალში - ირანის (564) ინდოეთის (428) და აზერბაიჯანის (141) მოქალაქეს;
- 2019 წლის მარტში - ირანის (1815) ინდოეთის (404) და აზერბაიჯანის (228) მოქალაქეს.

საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში გამკაცრდა სახელმწიფო პოლიტიკა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთასთან დაკავშირებით. სახელმწიფო, ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული ქვეყნებს წარმომადგენლებს საქართველოში შემოსვლაზე დაუსაბუთებელ უარს ეუბნება. აღნიშნული საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ TDI-ის ანგარიში.

*ანგარიში მომზადებულია პროექტის "საქართველოში რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევა" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)" პროექტის ფარგლებში და დაფინანსებულია აშშ-ის განვითარების სააგენტოს USAID-ის მიერ.*

*შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და ის შესაძლოა არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.*